

გაბრიელ გარსია მარკესი

იცხოვრო, რომ მოჰყვე

რომანი

ესპანურიდან თარგმნა
ლანა კალანდიაძე



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

გაბრიელ გარსია მარკესი
იცხვობს, რომ მოჰყვება

Gabriel García Márquez
VIVIR PARA CONTARLA

რედაქტორები
ელზა ახვლედიანი
ზვიად კვარაცხელია
ირმა ჩინჩალაძე

ISBN 978-9941-466-89-2

© GABRIEL GARCÍA MÁRQUEZ, 2002

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2016

*ცხოვრება განვლილი დღეები კი არ არის,
არამედ ის, რაც გახსოვს და როგორც
გახსოვს – იმისთვის, რომ მოჰყვე.*

1

დედამ მთხოვა, სახლის გასაყიდად წავყოლოდი. ბარანკი-ლიაში დილით ჩამოსულიყო შორეული სოფლიდან, სადაც ოჯახი ცხოვრობდა და წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა ვეპოვნე. ნაცნობებში გაიკითხ-გამოიკითხა და ურჩიეს, წიგნის მაღაზია „მუნდოში“ ან ახლომახლო კაფეებში მოვეძებნე, სადაც დღეში ორჯერ, მეგობარ მწერლებთან ერთად, სასაუბროდ მივდიოდი. ვინც გზა მიასწავლა, გააფრთხილა კიდევ: „ყურადღებით იყავი, თავზეხელაღებული გიჟები არიან“. ზუსტად თორმეტ საათზე მოვიდა. დახვავებულ წიგნებს შორის გზა მისთვის ჩვეული, მსუბუქი ნაბიჯებით გაიკაფა და პირისპირ ამესვეტა. თვალეში თავისი საუკეთესო დღეების ეშმაკური ღიმილი უციმციმებდა. მზერა გამისწორა და ვიდრე რამეს მოვიმოქმედებდი, მითხრა:

– დედაშენი ვარ!

რალაც ისეთი შეცვლილიყო მასში, რამაც ხელი შემიშალა, ერთი შეხედვით მეცნო. ორმოცდახუთი წლის იყო. თერთმეტი მშობიარობა გამოეწვო და ცხოვრების ათი წელი ორსულობაში ჰქონდა გატარებული, ამდენივე დრო – მეძუძურობაში. ნაადრევად გაჭაღარავებულიყო. მისი თვალეები ახლა უფრო ფართო და უმოძრაო ჩანდა პირველი ბიფოკალური სათვალის მიღმა. ჯერ კიდევ მკაცრ ძაძებში იყო ბეზიანემის გარდაცვალების გამო, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ინარჩუნებდა ქორწილის სუ-

რათებზე შემორჩენილი რომაული სილამაზის კვალს – ახლა უკვე შემოდგომის შარავანდედით კიდე უფრო გაკეთილშობილებულს. სანამ მომეხვეოდა, მისთვის დამახასიათებელი მაღალფარდოვნებით მითხრა:

– დახმარების სათხოვნელად მოვედი: მინდა, რომ სახლის გასაყიდად გამომყვე!

არ დასჭირვებია იმის თქმა, თუ სად, ან რომელი სახლის, რადგან ჩვენთვის ამქვეყნად მხოლოდ ერთი სახლი არსებობდა: ბაბუაჩემის ძველი სახლი არაკატაკაში, სადაც ბედის წყალობით დავიბადე და სადაც რვა წლიდან აღარც მიცხოვრია. ექვსსემესტრიანი სწავლის შემდეგ იურიდიული ფაკულტეტი ახალი მიტოვებული მქონდა. დროს, ძირითადად, რაც ხელთ ჩამივარდებოდა, იმის კითხვასა და ესპანური ოქროს ხანის განუმეორებელი პოეზიის ზეპირად სწავლაში ვატარებდი. უკვე ნაკითხული მქონდა ყველა ორიგინალური თუ თარგმნილი გამოცემა, რომელთა მეშვეობითაც თხრობის ტექნიკას დავეუფლე. პერიოდული გამოცემების დამატებებში გამოქვეყნებული მქონდა ექვსი მოთხრობა, რომლებმაც მეგობრების ენთუზიაზმი გამოიწვია და ზოგიერთი კრიტიკოსის ყურადღება მიიპყრო. ერთ თვეში ოცდაექვსი წელი მისრულდებოდა. უკვე სამხედრო სამსახურის დეზერტირი და ორგზის გონორეის ვეტერანი ვიყავი. ყოველდღე, სინდისის ქენჯნის გარეშე, სამოც ღერ ველურ თუთუნს ვენეოდი. თავისუფალ დროს ბარანკილიასა და კარტახენა დე ინდიას, კოლუმბიის კარიბის სანაპიროს შორის ვატარებდი. მეფესავით ვცხოვრობდი იმით, რასაც ჩემს ყოველდღიურ წერილებში მიხდიდნენ „ელ ერალდოში“, ეს იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე არაფერი. ვინეტი უმშვენიერეს ქალებთან იქ, სადაც დამიღამდებოდა. თითქოს საკმარისი არ ყოფილიყო ეს გაურკვეველობა და ქაოსი, რომელშიც ვიმყოფებოდი, რომ ჩემს განუყრელ მეგობრებთან ერთად, ყოველგვარი სახსრების გარეშე, ჟურნალის გამოცემა მქონდა გადანყვეტილი. ალფონსო ფუენმაიორი პროექტს სამი წლის განმავლობაში გეგმავდა. მეტზე ოცნება შეუძლებელი იყო.

უფრო გამორჩეულობის სურვილით და არა გემოვნების წყალობით, თითქმის ოცი წლით გავუსწარი იმდროინდელ მოდას: ველური უღვაში, აქორჩილი თმა, ჯინსის შარვალი, ყვავილებიანი პერანგი და პილიგრიმის სანდლები. ერთხელ, კინოში, სრულ სიბნელეში, ისე, რომ ჩემი სიახლოვე ვერ შენიშნა, მეგობარმა გოგონამ ვილაცხას გადაულაპარაკა: „საწყალი გაბიტო, სულ წავიდა ხელიდან“. ასე რომ, როდესაც დედაჩემმა სახლის გასაყიდად წაყოლა მთხოვა, ხელს არაფერი მიშლიდა, რომ მაშინვე დავთანხმებოდი. ოღონდ გამიმხილა, რომ საკმარისი თანხა არ ჰქონდა. თავმოყვარეობამ მძლია და შევთავაზე, საკუთარ ხარჯებზე თავად ვიზრუნებ-მეთქი.

გაზეთში, სადაც ვთანამშრომლობდი, ფინანსური საკითხის მოგვარება შეუძლებელი იყო. დღიურად სვეტში სამ პესოს მიხდიდნენ. თუ რომელიმე თანამშრომელი აკლდა, გამომცემლობა ოთხ პესოს მაძლევდა. ცხადია, საკმარისი არ იყო. სესხის აღება ვცაადე. უფროსმა შემახსენა, რომ ჩემი ვალი ორმოცდაათ პესოს აღემატებოდა. იმ საღამოს ისეთი უღირსი საქციელი ჩავიდინე, რომელსაც არც ერთი ჩემი მეგობარი არ იკადრებდა: კაფე „კოლუმბიიდან“ გამოსვლისას მოხუც კატალანელ ბუკინისტსა და მანეტროს – რამონ ვინიესს – ავედეენე და ათი პესო ვთხოვე. მხოლოდ ექვსი ჰქონდა.

მე და დედაჩემი ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ეს ორდღიანი, უწყინარი გასეირნება იმდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩემთვის, რომ ყველაზე ხანგრძლივი ცხოვრებაც კი არ მეყოფოდა მის მოსათხოვრად. ახლა, კარგად გააზრებული სამოცდახუთი წლის გადასახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ყველაზე საგულისხმო გადანყვეტილება, რომელიც შემოქმედებითი კარიერის გზაზე, უფრო ზუსტად კი – მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მიმიღია.

ყმანვილობამდე მეხსიერება უფრო მომავლისკენ არის მიმართული, ვიდრე წარსულისკენ. ჩემი ბავშვობის მოგონებები ჯერ კიდევ არ იყო ნოსტალგიით იდეალიზებული. მახსოვდა ისეთი, როგორიც იყო: მშვენიერი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ყველა

ერთმანეთს იცნობდა. დიდი მდინარის სანაპიროზე პრეისტორიული კვერცხებივით ეყარა თეთრი, გათლილი ლოდები, წყალი ვეებერთელა ლოდებს თავზე ევლებოდა. სალამოობით, განსაკუთრებით დეკემბერში, როდესაც წვიმები გადაიკარებდა და ჰაერი გამჭვირვალე ხდებოდა, სანტა მარტას სიერა ნევადას ქათქათა მწვერვალები თითქოს მოპირდაპირე მხარეს გაშენებული ბანანის პლანტაციებს უახლოვდებოდნენ. იქიდან ჭიანჭველების რიგით მოჩანდნენ სიერას აღმართზე შემდგარი ინდიელი, არუკოელი გლეხები, რომლებსაც ზურგზე სავსე ტომრები ეკიდათ და ცხოვრებას მთელი დღე კოკას ბურთულების ღეჭვით იხალისებდნენ. ბავშვები ქუჩებში თოვლის გუნდებით ომობანას ვთამაშობდით. ზაფხულობით, განსაკუთრებით სიესტის დროს, სიცხე იმდენად აუტანელი იყო, გულშემოყრილი უფროსები ისე წუხდნენ, თითქოს ყოველდღიურ მოულოდნელობასთან ჰქონდათ საქმე. პატარაობიდან სულ მესმოდა, რომ რკინიგზის ლიანდაგებსა და „United Fruit Company“-ს დასახლებებს ღამღამობით აშენებდნენ, რადგან დღისით, მზისგან გავარვარებულ სამუშაო იარაღებზე ხელის ხლება შეუძლებელი იყო.

ბარანკილიადან არაკატაკამდე მისვლა მხოლოდ ძველისძველი, დანჯღრეული მოტორიანი ნავით იყო შესაძლებელი. ნავი კოლონიის ეპოქაში მონებს გამოეჩორკნათ. ვრცელი და ამღვრეული ქაობის გავლით ნავი სიანაგას მისტერიულ დასახლებამდე მიდიოდა. იქიდან უკვე ჩვეულებრივი მატარებლით შეიძლებოდა გზის გაგრძელება. საუკუნის დასაწყისში ეს მატარებელი ქვეყნის საუკეთესო ტრანსპორტი იყო და ბოლო გაჩერებამდე მისი ტრაექტორია ბანანის უზარმაზარ პლანტაციებზე, მარტოსულ სადგურებსა და შორეულ, თაკარა სიცხისგან ამტვერილ სოფლებზე გადიოდა. ეს იყო გზა, რომელსაც მე და დედაჩემი დამდეგი კარნავალის წინააღმდეგ, 1950 წლის 18 თებერვალს, სალამოს 7 საათზე დავადექით, თავსხმა წვიმაში და ნალდი ფულით, 32 პესოთი, რომელიც უკან დასაბრუნებლადაც კი არ იყო საკმარისი, იმ შემთხვევაში, თუ სახლი სავარაუდო პირობებით არ გაიყიდებოდა.

იმ სალამოს ტროპიკული ქარი ისე დაუნდობლად უბერავდა, რომ ძლივს დავიყოლიე დედაჩემი, ნავში ჩამჯდარიყო. მიზეზები

ნამდვილად არ აკლდა: ნავი გემის – „Nueva Orlean“-ის – იმიტაციას წარმოადგენდა. ბენზინის ძრავებიდან ცხელი და უსიამოვნო ძაგძაგი ისმოდა. სალონის კედლებზე ჰამაკის დასაკიდებელი კაუჭები იყო დამაგრებული. ირგვლივ – რკინის სკამები, რომლებზეც მგზავრები ისე უნდა მოთავსებულიყვნენ, როგორც მოახერხებდნენ – თავიანთი უზარმაზარი ბარგით, სავაჭრო ტომრებით, გალიაში მოთავსებული ქათმებითა და ცოცხალი გოჭებიითაც კი. ნავს რამდენიმე მომცრო, სულისშემხუთველი და მუდმივად დაკავებული კაიუტა ჰქონდა, რომლებშიც, ჩვეულებრივ, მეძავეები განუწყვეტლივ ემსახურებოდნენ მგზავრებს. ბუნებრივია, მე და დედაჩემმა თავისუფალი ოთახი ვერ ვიპოვეთ. არც ჰამაკი გვქონდა და გაჭირვებით, ცენტრალურ დერეფანში, რკინის სკამი დავიკავეთ. ღამის გათევაც იქ გადავწყვიტეთ.

დედაჩემის შიში საფუძველს მოკლებული არ იყო. როდესაც მდინარე მაგდალენას მივაღებეთ, ქარიშხალმა ნავი მაგრად შეარყია. სანაპიროდან არც ისე შორს ვიყავით, მაგრამ მდინარე ამ ადგილებში ოკეანის ტემპერამენტით გამოირჩეოდა. წამოსვლამდე ყველაზე იაფფასიანი შავი თუთუნისა და შესახვევი ქალაღლის დიდი მარაგი შევიძინე. მოწვევა დავინყე, ისე როგორც მაშინ მჩვეოდა – ნამწვავიდან ახალ ღერს ვუკიდებდი, თან ჩანთიდან წიგნი ამოვიღე და უილიამ ფოლკნერის „ავგისტოს ნათელის“ გადაკითხვა დავინყე. იმ პერიოდში ფოლკნერი ჩემი ყველაზე ერთგული მფარველი დემონი გახლდათ. დედაჩემი რკინის ბოძს ისე ჩაეჭიდა, თითქოს ტრაქტორის დაძვრას, ან თვითმფრინავის ჰაერში აწევას ლამობსო, და ლოცვა დაიწყო. როგორც წესი, საკუთარი თავისთვის არაფერი უთხოვია, უფალს თავისი თერთმეტი ობლის ხანგრძლივი სიცოცხლე და წარმატება შეავედრა. როგორც ჩანს, მისი ლოცვები სადღაც შეისმინეს. წვიმა ნელ-ნელა ჩადგა და როდესაც არხს მივუახლოვდით, მხოლოდ კოლოების ზუზუნი და ნიავის შრიალი ისმოდა. მაშინ კი შეინახა ლოცვანი და მდუმარედ, ყურადღებით დააკვირდა გარშემომყოფთა ფაციფუცს.

მოკრძალებულ სახლში დაიბადა, მაგრამ ბანანის კომპანიის ბრწყინვალე, ეფემერულ გარემოში გაიზარდა. კარგი განათლება

სანტა მარტას წმინდა ქალწულის კოლეჯში მიიღო. საშობაო არ-
დადეგებზე მეგობრებთან ერთად ქარგავდა და მოწყალების სახ-
ლებში კლავიკორდზე უკრავდა. ადგილობრივი არისტოკრატის
ყველაზე დახვეწილ ცეკვებს დეიდის თანხლებით ესწრებოდა და
არავის არაფერი სმენია მისი სიყვარულის შესახებ მანამ, სანამ
მშობლების ნების საწინააღმდეგოდ, სოფლის ტელეგრაფისტს არ
გაჰყვა ცოლად. იქიდან მოყოლებული, მის ყველაზე ვირტუო-
ზულ თვისებებად იუმორის გრძნობა და რკინის ჯანმრთელობა
იქცა, რომლებსაც ბედის უკუღმართობამ ვერაფერი დააკლო
და მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა.
ყველაზე საოცარი და, ამავე დროს, ყველაზე ძნელად გამოსაც-
ნობი ის დახვეწილი ნიჭიერება გახლდათ, რომლითაც ხასიათის
უდიდეს სიმტიციცეს მალავდა: ნამდვილი ლომი იყო! სწორედ
ამ თვისების წყალობით მოახერხა, მისმა მატრიარქალურმა
ძალაუფლებამ შორეული ნათესავების ყველაზე წარმოუდგენელ
სოფლებამდეც რომ მიაღწია. ეს იყო თავისებური პლანეტარული
სისტემა, რომელსაც დედაჩემი დაბალი ხმით და თვალის დაუხამ-
ხამებლად, სამზარეულოდან აკონტროლებდა მანამ, სანამ ქვაბში
ლობიო იხარშებოდა.

ვაკვირდებოდი, როგორ წარბშეუხრელად იტანდა ჩვენს ვე-
ლურ მოგზაურობას და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: როგორ
შეეძლო ასე მარტივად გამკლავებოდა სილატაკის ყველა უსა-
მართლობას? ეს მძიმე ღამე მისი კიდევ ერთი გამოცდა იყო.
სისხლიანი კოლოები, სულისშემხუთველი სიცხე, აყროლებული
არხებიდან გამოსული ოხშივარი და უძილობით გათანგული
მგზავრების კვნესა – ყველაფერი თითქოს იმისთვის იყო გამიზ-
ნული, რომ ადამიანი წონასწორობიდან გამოეყვანა. დედაჩემი
გაუნძრევლად იჯდა სკამზე. ამასობაში ხან მამაკაცებად და ხან
ქალებად გამოწყობილი მეძავეები ახლომახლო კაიუტებში კლიენ-
ტებს იღებდნენ. ერთი მათგანი რამდენჯერმე შევიდა და გამოვ-
იდა სხვადასხვა მამაკაცთან ერთად. ყველა მათგანი დედაჩემის
გვერდით იჯდა. მეგონა, ვერაფერს ამჩნევდა, მაგრამ მეოთხე თუ
მეხუთე შესვლაზე, რომელიც ერთ საათზე ნაკლები გაგრძელდა,
ქალს სიბრაღულის თვალი გააყოლა და ამოიოხრა:

– სანყალი გოგოები, რალას არ სჩადიან, რომ თავი ირჩინონ.
ეს ხომ ნებისმიერ შრომაზე უარესია.

შუალამემდე ასე გაგრძელდა. ნავის აუტანელი რყევებითა და მბჟუტავ შუქზე კითხვით გადაღლილი, დედაჩემს მივუახლოვდი და მის გვერდით სიგარეტის მოსაწევად დავჯექი.